პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 247 (3731)

1968 წ. 19 დეკემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

მასობრიობა ოსტატობის საფუძველია

„ბურევესტნიკში“ უმაღლესი სასწავლებლების 1.350.000 სტუდენტი, მასწავლებელი და თანამშრომელია გაერთიანებული და აქტიურად მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს. ეს ცოტა როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ყოველი მეოთხე სტუდენტი თანრიგოსანი სპორტსმენია.

მაგრამ არიან სტუდენტები, რომლებისთვისაც სპორტი ჯერ კიდევ არაა ჯანმრთელობის გაკაჟების საშუალება, გონივრული დასვენების გზა, დამსვარე თანამედროვე მეცნიერების დაუფლებაში.

საბჭოთა სტუდენტობა უზარმაზარი რეზერვია სპორტული ტალანტების, მსოფლიო სპორტის ვარსკვლავების ძიებისთვის. სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ „ბურევესტნიკის“ VI საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც 17 დეკემბერს გაიმართა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში. აქ თავი მოიყარეს 9 რესპუბლიკური და 100 საოლქო საბჭოს, 692 სპორტული კლუბის წარმომადგენლებმა.

ლაპარაკი იყო კონკრეტული, საქმიანი, აშკარა. განა საგანგაშო არ არის, რომ გასული ორი წლის მანძილზე თანრიგოსანთა მომზადების დონემ უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ერთი-ორად იკლო? ეს მაშინ, როცა ამ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის კათედრის 12 ათასი მასწავლებელი და მწვრთნელთა მთელი არმია მუშაობს. ტოკიოში „ბურევესტნიკის“ 54 წარმომადგენელი გამოდიოდა, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში კი 33.

კონფერენციის მონაწილეებმა არა მხოლოდ გააკრიტიკეს ნაკლოვანებები, არამედ გზებიც დასახეს მათი გამოსწორებისთვის. მასობრიობა უნდა გახდეს ოსტატობის საფუძველი, რეალურად უნდა შეეხსნა ხორცი ფორმულას: „ყოველი სტუდენტი სპორტსმენია“, უნდა გაიზარდოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ ნაგებობათა რიცხვი, ისეთი ბაზებისა, როგორიცაა იეევსკის მექანიკური ინსტიტუტის სტადიონის, კიევის ინჟინერ-მშენებელთა ინსტიტუტის ექვსდარბაზიანი და აუზიანი კომპლექსი, კრასნოიარსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორდარბაზიანი კორპუსი აუზით და სტადიონით.

ეს ბაზები თავად სტუდენტების ხელითაა ნაშენები.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა იმ უთანხმოებაზე, რომელიც ამჟამად ფიზიკური აღზრდის კათედრებს, „ბურევესტნიკსა“ და სპორტულ კლუბებს შორის არსებობს. ითქვა, რომ სათანადოდ არაა გამოყენებული სახსრები, რასაც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურასა და სპორტის განვითარებისთვის გამოყოფს.

ამ წინააღმდეგობათა გადალახვა შეიძლება „ბურევესტნიკის“ საუწყებო პროფკავშირულ საზოგადოებად რეორგანიზაციის გზით. მაშინ ამ საზოგადოებისთვის ისევე შეიძლებოდა დაგეკისრებინა პასუხისმგებლობა სასწავლო მასობრივ-სპორტული მუშაობისთვის, როგორც ეს გაკეთდა, მაგალითად, „შრომით რეზერვებში“.

კონფერენციის მონაწილეებმა აირჩიეს „ბურევესტნიკის“ პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია ი. გენეროზოვი.

სპორტული ქრონიკა

◆ სან-სალვადორი, 18 დეკემბერი. მსოფლიოს 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 შესარჩევი ჯგუფის (ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა) III ქვეჯგუფში ზედიზედ მესამე გამარჯვებას მიაღწია სალვადორის ნაკრებმა — მეორე შეხვედრა მოუგო ანტილის კუნძულების გუნდს — 2:1 (0:0).

◆ მარ-დელ-პლატა, 18 დეკემბერი. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ამხანაგური მატჩი მოუგო პოლონეთის გუნდს — 1:0. ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით შესვენებამდე გაიტანა არგენტინელმა საიომ.

თბილისის დინამოელთა ორი გამარჯვება

◆ სინგაპური, 18 დეკემბერი. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა სინგაპურის ნაკრებთან მეორე მატჩშიც გაიმარჯვეს, ამჯერად, ანგარიშით 10:1. პირველ თამაშში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

23 დეკემბერს

პროფტექგანათლების კულტურის სახლში (ბუდაპეშტის ქ. № 1) გაიმართება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს III კონფერენცია.

დასაწყისი 15 ს.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ საბჭოში (ოქტომბრის ქ. № 134), 10-დან 18 საათამდე.

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო.

ხუთწლედის გეგმა სამ წელიწადში!

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება.

გეგმით უნდა მოგვემზადებინა 15 სპორტის ოსტატი, სანამდვილეში შესაბამისი ნორმატივი შეასრულა 33 სპორტსმენმა. 41 კაცი სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. გეგმით გათვალისწინებული 161 პირველთანრიგოსანის ნაცვლად მომზადდა 440. დიდი გადაჭარბებით გავანაღდეთ სხვა თანრიგების სპორტსმენების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულება.

ამრიგად, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია: სპორტის ოსტატების მომზადებისა 134 პროცენტით, პირველთანრიგოსნებისა — 170 პროცენტით, მეორეთანრიგოსნებისა — 101 პროცენტით, მესამეთანრიგოსნებისა — 102 პროცენტით, მშთ ნიშნოსანთა მომზადებისა — 124 პროცენტით.

თანრიგოსანთა მომზადება გრძელდება.

ლ. ახვლედიანი,

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ოქტომბრის ნეოტრულ ბაზებზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 20-21 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაუთა გუნდები: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ფალგარისი“ (კაუნასი). დასაწყისი 20 ს.

შეხვედრა „ჩაის სახლში“



გუშინწინ „ჩაის სახლში“ მოეწყო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტსმენების შეხვედრა სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალის მონაწილეებთან.

საღამო გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ. მან თქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ასეთი ფესტივალის მოწყობა ხელს შეუწყობს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ბ. ჩირკოვმა ხაზი გაუსვა ფესტივალის დიდ მნიშვნელობას სპორტული თემატიკით კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი ცხოვრების დაინტერესებაგაღრმავებაში.

სპორტული თემატიკის აქტუალობაზე, აღსაზრდელისა და მწვრთნელის დამოკიდებულებაზე, მაღალმხატვრული ფილმების შექმნის მტკივნეულ საკითხებზე დამსწრეთ ესაუბრნენ კლასიკურ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი ო. ბლიაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კათედრის გამგე, პროფესორი გ. თვალაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე და სხვ.

ფილმზე მუშაობის ცალკეული ეპიზოდები და მომავლის გეგმები დამსწრეთ გაუზიარეს კინოფილმ „ახალგაზდას“ დამდგმელმა რეჟისორმა პ. ლიუბიმოვმა, კინოდრამატურგმა გ. კუშნირენკომ, კინოფილმის „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“ დამდგმელმა რეჟისორმა ვ. სადოვსკიმ, კინოფილმის „ცაში მხოლოდ ქალიშვილებია“ ერთადერთი როლის შემსრულებელმა ა. გორშკოვამ.

საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ, ზევით — ბ. ჩირკოვი შეეჭიდა სურნელოვან ჩაის; ქვევით — ვ. სამსონაძე ხსნის საღამოს; მარჯვნივ, ქვევით (მარცხნიდან) — ლენინგრადელი მსახიობი ა. კოტეენიკოვი, ფილმ „ახალგაზდას“ დამდგმელი რეჟისორი პ. ლიუბიმოვი, ამავე ფილმის მთავარი გმირი, სპორტის ოსტატი ი. ელისეევი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, ზევით — კინორეჟისორი ვ. სადოვსკი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.









შინ და გარეთ

ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის უფროსი ვ. ბუხრაშვილი ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარეც არის.

კვანძს „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კვიციანთან ერთად ვეწვიეთ. ის სამუშაო დღეც დილის ვარჯიშით დაეწყოთ.

— ჩვენი მთავარი საზრუნავი საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზებულად ჩატარებაა, ვინაიდან სამუშაო პროცესთან კარგად შეხამებული ვარჯიში დიდად უწყობს ხელს შრომისნაყოფიერების ამაღლებას, — გვითხრა ბუხრაშვილმა.

საწარმოო ტანვარჯიშის უკეთ ორგანიზებისთვის საამქროებისა და განყოფილებების რადიოფიცირება განუზრახავთ. სპეციალური დანადგარებიც შეუძენიათ.

კარგად მუშაობენ სპორტული სექციები. 260 ფიზკულტურელი სისტემატურად ვარჯიშობს კალათბურთში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, გაერთიანებულია ტურიზმის სექციებსა და სხვადასხვა გამაჯანსაღებელ ჯგუფში.

კვანძის სპორტულ დარბაზში თვალსაჩინო ადგილზე გამოუკრავთ შიდასაკოლექტივო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მოპოვებულ წარმატებათა აღმნუსხველი მასალები, გამოუფენიათ თასები და პრიზები. აქვეა 38 მოწინავე სპორტსმენის სია, რომელთაგან 2 სპორტის ოსტატია, 7 კი პირველთანრიგოსანი. ჰყავთ ათობით მეორეთანრიგოსანი. წელეულს 28 შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა, ვადამდე გაანაღდეს თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებები.

კოლექტივის რჩეული სპორტსმენები თავს არც დიდ სარბიელზე ირცხვენენ. „სპარტაკის“ საქალაქო ნაკრებში შედიან კალათბურთელი ნ. გეგუჩიძე და მსროლელი გ. კურცხალია. პირველთანრიგოსანი მოკრივე, დამტარებელი გ. ბერიძე საქართველოს ჩემპიონია ჭაბუკთა შორის. შარშან მძლეოსნებმა, ტყვიის მსროლელებმა და მოფარიკავეებმა საქალაქო საიუბილეო სპარტაკიადაში მოიპოვეს პირველობა II ჯგუფის კოლექტივთა შორის. მძლეოსნები კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირული სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ და საკავშირო პირველობის საგზური მიიღეს.

სპორტის მასობრიობას ხელს ისიც უწყობს, რომ საამქროთა შორის ყოველწლიურად ტარდება სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურული საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის. გარდამავალი ვიმპელი ამჟამად ტელეგრაფის საამქროში ინახება, სადაც მუშამოსამსახურეთა 80 პროცენტი ფიზკულტურელია.

საამქროს უფროსი ს. ფიჩხაძე საუკეთესო მოშაშეა და პირველობას არავის უთმობს. საამქროში ყველაზე ახალგაზრდაა ტელეგრაფისტი, პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე გ. მიქელაძე.

— ამ წარმატებაში დიდი დამსახურება ფიზკულტურის ინსტრუქტორ შ. შავროვს მიუძღვის, — გვითხრა გამომშვიდობებისას ბუხრაშვილმა.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

• • •

სურათზე: ტელეგრაფის მუშაკებთან ვარჯიშს ატარებს შ. შავროვი. ფოტო **ავტორისა.**



ორომითს ვახტზე

ქარხანა „გორიხელსაწყოს“ ფიზკულტურელები ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან. მათ მთელ კოლექტივთან ერთად ივალდებულეს, რომ ვადამდე გაანაღდონ წლიური დავალება და ნაცვლად 1.562 ათასი მანეთისა, საძრობლოს მესცენ 1.600 ათასი მანეთის სარეალიზაციო პროდუქცია.

ქარხანაში ბევრმა ფიზკულტურელმა გამოიჩინა თავი კარგი მუშაობით. დავასახელოთ, მაგალითად, ამწყობი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი, ტყვიის მსროლელი, ზეინკალი ნ. გოგოლაძე, რომლის რაციონალიზატორულმა წინადადებამ ქარხანას 3000 მანეთის ეკონომია მისცა, მოჭადრაკე, ზეინკალი თ. მშვიდობაძე, კალათბურთელი თ. ახალკაცი, ფეხბურთელი, შემკეთებელი ი. თინიკაშვილი...

წინსვლა დაეტყო ქარხნის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობასაც. კარგად მუშაობენ ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, ტყვიის სროლის სექციები. სულ ახლახან 23 ფიზკულტურელს მიეკუთვნა სხვადასხვა სპორტული თანრიგი.

ამას წინათ ჩატარდა შიდასაქარხნო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა ოთხი სახეობა: კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და შაში. ჭადრაკში ჩემპიონობა დაისაკუთრეს მექანიკური საამქროს წარმომადგენლებმა, რომელთა ლიდერიც ოსტატობის კანდიდატი გ. მუკნიაშვილია. შაშში ყველას აჯობეს ენერგომექანიკოსებმა, მაგიდის ჩოგბურთში — ამწყობი საამქროს სპორტსმენებმა, კალათბურთში პირველობა არავის დაუთმეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

„გორიხელსაწყოს“ სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. მათ აქ II ადგილები დაიკავეს ველოსპორტსა და ტყვიის სროლაში.

ფიზკულტურული მუშაობის უკეთ გაწლას ხელს უწყობენ ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. მარტო საქარხნო კომიტეტმა (თავმჯდომარე ნ. ტიტვინიძე) წელეულს 339 მანეთი დახარჯა სპორტული ინვენტარის შესაძენად.

ახლა ქარხნის ფიზკულტურელთა მთავარი ამოცანა საკუთარი სპორტული ბაზების მოწყობაა. ქარხნის ტერიტორიის გაფართოებით ესეც შესაძლებელი გახდა. გაისად უკვე ნაზად იქნება კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები.

— ახლა ვაშენებთ ქარხნის კლუბს, რომელსაც სპორტული დარბაზიც ექნება. გაისად განზრახული გვაქვს ფიზკულტურული მუშაობისთვის დირექტორის ფონდიდან ორი ათასი მანეთი გამოვყოთ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა მ. ლაცაბიძემ.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ჩვენს მაბეჭ რესპუბლიკებში

საბჭოთა მეურნეობის „ოლიმპიელები“

ნოვაია ვოდოლაგა (ხარკოვის ოლქი), 17 დეკემბერი. **ახალი თოვლის ხალიჩაზე პირველი ბილიკები ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის „კომინტერნის“ ფიზკულტურელებმა გაავლეს. სპორტს ამ მეურნეობაში 500 კაცი მისდევს. მარტო წელეულს 60 ფიზკულტურელმა შეასრულა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივი.**

სპორტულ კოლექტივს სათავეში უდგას თავისი საქმის ენთუზიასტი, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. ვოდორეზი. მან აღზარდა ჩინებულ სპორტსმენთა მთელი პლეადა, მათ შორის, ორი სპორტის ოსტატი — ველოსიპედისტები გ. ზაბელა და ფ. ირლიცა. ოსტატის ნორმის შესასრულებლად ემზადება მწველავი მ. კლეპაკი.

საბჭოთა მეურნეობაში 14 სექციაა — სათხილამურო, ველოსპორტის, ძალოსნობის, სროლისა და სხვ.

ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიურ სეზონში, მეურნეობაში „სასოფლო ოლიმპიადები“ ტარდება, ყოველ წელიწადს იმართება ჯანმრთელობის სპარტაკიადები.

მეურნეობის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია სტადიონი ფეხბურთის მინდვრით, ტყორცნისა და ხტომის სექტორებით, სარბენი ბილიკებით, ფრენბურთის, კალათბურთის, ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის მოედნებით. აქვთ ზამთრის სპორტდარბაზი. შენდება მეორე დარბაზიც, რომელიც კულტურის სასახლესთან ერთად ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ჩადგება მწყობრში.

„კომინტერნის“ გუნდებმა 30 სიგელი და 9 თასი დაისაკუთრეს რაიონულ, საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტო).

მომდევნო ადგილებზე...

კახში ახლახან დამთავრდა რაიონის პირველობა ფეხბურთში. სხვა გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კახის ნიზამის სახელობის ქართული კოლმეურნეობისა და სოფ. ალიბეგლოს ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებიც.

გამარჯვება წილად ხვდათ კახის ვეტერანებს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ნიზამის სახელობისა და ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობათა გუნდები.

ი. ბაბაშვილი.

სოფ. ალიბეგლო,
კახის რაიონი,
აზერბაიჯანის სსრ.

ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲚᲐ

ახლახან გაიმართა გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც მოისმინა „რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ა. სხულუხიას მოხსენება. დღის წესრიგში იდგა რაიონული ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში 6700 ფიზკულტურელია და მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

— ბოლო წლებში, — თქვა მომხსენებელმა, — რაიონში სათანადო ყურადღება ექცევა სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებასაც. 1965 წლიდან დღემდე რაიონში მომზადებულია 10 სპორტის ოსტატი, 5 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 70 პირველთანრიგოსანი, 102 მეორეთანრიგოსანი და ა. შ. ამ დღეებში დამთავრდა ფეხბურთელთა რაიონული პირველობა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 გუნდი. რაიონის კოლმეურნე ფრენბურთელმა ქალებმა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში ოქროს მედლები მოიპოვეს. მომხსენებელმა აღნიშნა რაიონის საცხენოსნო კლუბის კარგი მუშაობაც, თქვა, რომ კლუბის სპორტსმენები ხოფერია და ღურწკაია საქართველოს ნაკრების წევრები არიან. სხულუხიამ აღნიშნა, რომ სპორტული მუშაობა კარგად არის დაყენებული გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, ხოფელ ვლადიმიროვკის ლენინის სახელობის, წებელდის ილიჩის სახელობის, გულრიფშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში და კოდორის ხეტყის გადამმუშავებელ კომბინატში. მაგრამ ფიზკულტურული საქმიანობის დონე დაბალია დრანდის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობაში, ვლადიმიროვკის კოლმეურნეობა „ესტონკაში“, ბაღმარანის ლენინის სახელობისა და მაჭარის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ აფხაზეთის სპარტაკიადაში, სადაც II საერთო გუნდური ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მერხეულის, გულრიფშის, დრანდის, ბაბუშარის, ბაგაფოსტის და შაუმიანის საშუალო სკოლებს. საშუხაროდ, რაიონში არ არის ცენტრალური სპორტული ბაზა. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა რამდენჯერმე მიმართა თხოვნით აფხაზეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს, რათა სტადიონის მშენებლობისთვის (დრანდის სტადიონისა) თანხა გამოეყოთ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილებზე ფიზკულტურული მუშაობის გაწლას. ბოლოს სხულუხიამ თქვა, რომ რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების დახმარებით ღირსეულად შეხვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ კოდორის ხე-ტყის გადამმუშავებელი კომბინატის დირექტორი გ. ხვიჩია, გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. გერია, საქართველოს ალკა გულრიფშის რაიკომის მეორე მდივანი ე. სურმენელიანი და რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ე. შანგუა.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

რესპუბლიკის რაიონებში მიმდინარეობს „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები. ბევრგან უკვე მოეწყო სოფლის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა თავყრილობანი. „ლელოს“ კორესპონდენტებმა ო. სალიამ (წალენჯიხა), ნ. მამულაშვილმა (ადიგენი), გ. მამულაშვილმა (მცხეთა), ე. გუგუნავამ (ცხაკაია), ა. ანასაშვილმა (საჩხერე), რ. მეგრელიშვილმა (სამტრედია), ვ. კუტალაძემ (თერჯოლა), ე. მექვაბიშვილმა (ქობულეთი), ი. ოდიმელიძემ (გურჯაანი) შეგვაცნობინეს რაიონული კონფერენციების შედეგები. ყველა კონფერენციის ელეგატებმა ილაპარაკეს სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე, დასახეს მომავლის ამოცანები.

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეული არიან: შ. კპარაძეული (წალენჯიხა), ბ. ფეიძრიშვილი (ადიგენი), ა. ბერიძე (მცხეთა), ა. ყურაშვილი (ცხაკაია), ფ. ლაზი (საჩხერე), ჯ. ბაბაკიძე (სამტრედია), ი. სულაქვიძე (თერჯოლა), ო. ლეკვეა (ქობულეთი) და შ. არუთინაშვილი (გურჯაანი).

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲙᲐᲖᲔᲑᲘ

● *მოსკოვი, 17 დეკემბერი. მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ე. კარპუხინამ კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი — გუშინწინ დედაქალაქის „კრილია სოვეტოვის“ სასახლის სარბიელზე მოსკოვის თასი დაისაკუთრა. სამი ნებისმიერი კომპოზიციის (უსაგნოდ, სასტუნელათი და რკალით) ჯამში მან 29,55 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა გუნდურ ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონი, რიგელი ლ. კაჩალდა (თასის გათამაშება ღია იყო) — 29,2 ქულა, ხოლო III — მოსკოველი სტუდენტი ზ. ბელოკონი — 29,1 ქულა.*

Გ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

წინა ნომერში უკვე ვწერდით, რომ დონეცკში დამთავრდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების — ოლიმპიური რეზერვის ტურნირი. ვიტყობინებოდით, რომ მრავალჯიდში გოგონათა შორის გაიმარჯვა ტ. ტიხომიროვამ, ხოლო ვაუებში ვ. ილინიხმა (ორივე — მოსკოვი). ახლა გაგაცნობთ ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულებს.

ტაიჭზე ბადალი არ ჰყავდა თბილისის დინამოელ გ. ლოლაძეს, რომელმაც ფინალში საუცხოოდ ივარჯიშა და პირველობაც მოიგო თავისუფალ ვარჯიშში უძლიერესი იყო ვ. მელნიკოვი, რგოლებზე — გ. შუბი, ორძელზე — ე. ფურმანი (უველა — „ბურევესტნიკი“), ბჯენით ხტომაში — ა. კატკოვი (პროფკავშირთა I გუნდი), ღერძზე — არმიელი ვ. რაზუმოვსკი.

გოგონებში თავი ისახელეს: ბჯენით ხტომაში — ს. ბუზნიკმ (შეიარაღებული ძალები), ორძელზე — თ. ლაზაკოვიჩმა, თავისუფალ ვარჯიშში — ე. საადიმ (ორივე — „დინამო“), ღვარძზე — გ. ანისიმოვამ (პროფკავშირთა II გუნდი).



ყირღაჰირ სოფელია!

მისამართი? ინებეთ!

პირველ სექტემბერს მზიანი დღე გათენდა. ახალი სკოლის ეზოში მოსწავლეები გაკვეთილების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეკრებილიყვნენ.

ზარი დაირეკა. სკოლის კარი გაიღო და ნათელი დერეფნები ბავშვების ჟრიამულმა აავსო. მოსწავლეებმა მიაშურეს საკლასო ოთახებს, ქიმიის, ფიზიკის კაბინეტებს. ყველგან სიხარული სუფევდა, გარდა ახალი სკოლის ახალი სპორტული დარბაზისა. ფიზკულტურის გაკვეთილზე მოსწავლეებს ძლივს იტევდა მცირე ზომის სარბიელი, რომლის ფართობი სულ 18×9 მეტრი იყო.

ფიზაღზრდის მასწავლებელმა ნორჩები დაამწკრივა და...

— აქ კალათბურთს კი არა, ფრენბურთსაც ვერ ვითამაშებთ, — სინანულით თქვა ერთმა.

— ღერძზე ალმატრიალს ვერ გაკეთებ, ჭერს მიარტყამ ქვემო კიდურებს. ვის აქვს ოთხი ფეხი!

... განაწყენებულმა მოსწავლეებმა რედაქციაში აფრინეს წერილები, მშენებელ ორგანიზაციაზე სამდურავს გვწერდნენ, შველას გვთხოვდნენ.

მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გაკვირვების ნიშნად ხელები გაშალეს: „ჩვენ რა შუაში ვართ? როგორიც პროექტით იყო გათვალისწინებული, ისეთი სპორტული დარბაზი ავაგეთ, არც მეტი, არც ნაკლები“.

მკითხველი ალბათ იკითხავს სკოლის მისამართს, სადაც ასეთი მინიატურული სპორტული დარბაზი აშენდა.

კეთილი: საქართველოს ყველა სოფელი და ქალაქი, სადაც კი გოლო ფლეგში ახალი რვაწლიანი სკოლა აიგო.

როცა წვიმდა...

ზაბრის რაიონის სოფელ წალკოტის კოლმეურნე სპორტსმენები როდი ემდურიან კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე დ. კუხალეიშვილი), ფიზკულტურასა და სპორტს ნაკლებ უურადღებას აქცევსო. პირიქით, კუხალეიშვილის თაოსნობით აქ აშენდა კარგი სპორტული ბაზები კალათბურთელებისთვის, ფეხბურთელებისთვის, სხვა სახეობათა წარმომადგენლებისთვის. ამიტომ არის, რომ აქაური ფრენბურთელი ვაუები „კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს შვიდგზის ჩემპიონები არიან, ფეხბურთელებმა კი სამჯერ იზეიმეს რაიონის ჩემპიონობა, ამდენჯერვე გაიმარჯვეს რაიონული თასის გათამაშებში.

როგორი სიხარულით შეხვდნენ ნორჩები კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებას სოფელში ორი რვაწლიანი სკოლის აგების თაობაზე. მოვიდნენ მშენებლები, დაიწყო ამ ორი სკოლის შენობათა კედლების ამოყვანა.

ახალი მშენებლობის მომავალი მკვიდრნი თავისუფალ დროს ხშირად ჩაუვლიდნენ მშენებარე სკოლას, უურადღებით შეათვალიერებდნენ. ერთმა ცნობისმოყვარემ მუშებთან მოსაუბრე ძიას გულუბრყვილოდ უთხრა:

— რომ აცივდება, ღია სპორტულ მოედნებზე ვარჯიში და შეჯიბრებების მოწყობა გაძნელდება. მაშინ სკოლის სპორტულ დარბაზში გადავინაცვლებთ.

მშენებლობის ერთ-ერთმა თავკაცმა გაკვირვებით გადახედა ბავშვს და მის კითხვას ასე უპასუხა:

— სპორტული დარბაზი კი არა, ახალი სპორტული სასახლე მოგვთხოვეთ! ამ ორ ახალ სკოლას ექნება საკლასო ოთახები და კაბინეტები. ვარჯიშით ეზოში ივარჯიშეთ. ასეა დაპროექტებული ეს მშენებლობა.

გაწბილებულმა ბავშვმა ცას ახედა. წვიმდა...

გაცრუებული იმედები

ამბროლაურის რაიონის ბევრი სოფელი მთაგორიანია. აქ იშვიათად შეხვდებით კეთილმოწყობილ ღია სპორტულ მოედნებს. ამიტომ იყო, რომ სოფელ ჭყვიშის მოსახლეობაში დიდი სიხარული გამოიწვია ახალი რვაწლიანი სკოლის მშენებლობის დაწყებამ.

— ახლა მაინც გვეშველება, სპორტული დარბაზი გვექნება, — ამბობდნენ მოსწავლეები.

მაგრამ ჭყვიშელი ახალგაზრდების ოცნებას ფრთები ვერ შეესხა. სკოლა ყოველნაირად კეთილმოწყობილი აშენდა, მხოლოდ... სპორტული დარბაზი არა აქვს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში სკოლების მშენებლობის ერთ-ერთმა თავკაცმა გვითხრა:

— ისეთ ადგილზე მოგვინიშნეს სკოლის აგება, სპორტული დარბაზის მშენებლობა არასგზით არ მოხერხდა.

ამბროლაურის რაიონიდან კი ასეთი პასუხი მივიღეთ: „რვაწლიანი სკოლების მშენებლობის პროექტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული სპორტდარბაზი. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, სპორტული დარბაზი არ ექნება არც ჭყვიშის რვაწლიანი სკოლის ახალ შენობას“.

კინემატოგრაფი — სპორტის მტერი

ეს როგორ? — გაიკვირვებს მკითხველი. მან ხომ იცის, კინემატოგრაფი და სპორტი კარგა ხანია მეგობრები რომ არიან. ეკრანებზე ხშირად გამოდის სპორტულ თემაზე შექმნილი ფილმები. ამ აზრის ერთ-ერთი დადასტურებაა თბილისში გამართული სპორტული ფილმების საკავშირო ფესტივალი. მაგრამ რაზეც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, სრულიად ეწინააღმდეგება ზემოთქმულს.

მაშ ასე. ახმეტის რაიონის სოფელი ზემო ალვანი. ახალგაზრდების სასახელო შრომითი საქმეებით განთქმულ სოფელში არც ფიზკულტურასა და სპორტს ივიწყებენ. ამ სოფელში ფეხადგმულ მოჭიდავეებს, მძლეოსნებს ბევრჯერ მოუხიბლავთ სპორტის მოყვარულები რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ზემო ალვანში უყვართ სპორტი და კარგ მოსავალსაც იმკიან. აქაური ახალგაზრდების ფიზიკურად გაკაჟებასა და სპორტში დაოსტატებას ძალიან უწყობდა ხელს საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი. აქ ტარდებოდა წვრთნა და საინტერესო შეჯიბრებები.

და აი, ერთ დღეს საწვრთნელ ვარჯიშზე მოსულ მოსწავლეებს თავიანთი დარბაზის წინ უცხო ხალხი დახვდათ. შესასვლელში კაცი იდგა და მოსულებს ბილეთის შეძენას სთხოვდა. იქვე გაკრული აფიშა იუწყებოდა ახალი კინოსურათის ჩვენებას.

ასე გადაიქცა ზემო ალვანის საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი კინოდარბაზად, ასე იქცა კინემატოგრაფი სპორტის მტრად.

ახლა ზემოალვანელი მოსწავლე სპორტსმენები იმედით ელიან სასოფლო კლუბის რომონტის დამთავრებას, რომელიც კარგა ხანია გაჭიანურდა.

გარეთ ცრის, ქრის ქარი, სპორტდარბაზში კინოფილმებს უჩვენებენ, უდარბაზოდ დარჩენილი მოსწავლე ფიზკულტურელების საბრალოდ მოთხოვნას კი უურადღებას არავინ აქცევს.

უქმად დაღვრილი ოფლი

ხულოს რაიონის ახალგაზრდები სპორტული დარბაზებით განებივრებული რომ არ არიან, ეს ცხადზე უცხადესია. რაიონის ათამდე სკოლიდან ასეთი რამ მხოლოდ სკოლა-ინტერნატს აქვს და ისიც მცირე ზომისაა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ხულოს რაიონში ნოემბრიდან მაისამდე უხვი თოვლი იცის და ამ პერიოდში ყოველგვარი ფიზკულტურული საქმიანობა შეწყვეტილია.

... სოფელ რიყეთში ხმა დაირხა: ახალ სკოლას გვიშენებენ საკლასო ოთახებით, სხვადასხვა კაბინეტითა და სპორტული დარბაზითო. ახალგაზრდების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თვითონაც მუშაობდნენ, საძირკველს ყრიდნენ.

ის-ის იყო, ჭაბუკებს დაწყებული საქმე უნდა დაემთავრებინათ, რომ ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის წარმომადგენელი თავს წაადგათ და გაკვირვებულმა ასეთი შეკითხვით მიმართა მკლავებდაკაპიწებულ ახალგაზრდებს:

— რისთვის ღვრით ოფლს?

— საძირკველს ვყრით, სპორტული დარბაზის მშენებლობა რომ უფრო დაჩქარდეს.

— დარბაზის მშენებლობისთვის სახსრები არ გამოუყვანთ, ტუუოლად ირჯებით, — იყო ტრესტის წარმომადგენლის პასუხი.

რიყეთის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. კოჩალიძემ ეს ამბავი, მართალია, მოკლედ, მაგრამ მაინც შეატყობინა რედაქციას. სიგნალი 29 აგვისტოს დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მაგრამ რა მერე!

რიყეთის საშუალო სკოლის მშენებლობა მთავრდება, შენობა გადახურეს, მაგრამ სპორტული დარბაზის საკითხი ღია დარჩა.

გოლოთქმა

მხრობა გაგვიგრძელდა. ვფიქრობთ, უკვე ნათელია, რატომ არ გვაქვს უფრო მეტი წარმატებები მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების საშვილიშვილო საქმეში.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბევრ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აუცილებელია მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის კიდევ უფრო დანერგვა და ღონისძიებები მისი შემდგომი განვითარებისთვის. რატომ არის, რომ მოძმე რესპუბლიკებში, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობელ სომხეთში, ამ მხრივ დიდი საქმე გაკეთდა. იქ ზედიზედ მწყობრში დგება უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სახკოლო სპორტული დარბაზები. ჩვენში? ნუთუ ფიქრობენ, რომ მარტო ნორჩების ბუნებრივი ნიჭია საკმარისი მაღალი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად?

ფიზკულტურასა და სპორტში წარმატებას სკოლაში ეყრება საფუძველი. მაშ ვისა აქვს უფლება წინ აღუდგეს ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებას? სწორედ ასეა, როცა ახალ სკოლებს ვაშენებთ, უამრავ თანხასა და ენერგიას ვხარჯავთ და ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკური გაკაჟებისთვის კი სულაც არ ვფიქრობთ.

რედაქციაში ხშირად მოდის მოსწავლეთა წერილები რაიონებიდან, ქალაქებიდან, სადაც ახალი სკოლები შენდება უუარგისი სპორტული დარბაზებით. დახმარებას გვთხოვენ. რედაქციას მათი სურვილის დაკმაყოფილება არ შეუძლია. ასე გადის დრო, ამ ამბავს კი უურადღებას არავინ აქცევს. ისე არ მოხდეს: ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინაო.

ბასრი მახვილაძე.

ჭადრაკი

დიდი მატჩის პრელუდია

1969 წლის აპრილში თბილისში სტარტს აიღებს ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ბუნებრივია, ორივე მოჭადრაკის ქომაგებს აინტერესებთ მომავალ მეტოქეთა ყოველი გამოსვლა და უველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მათი შეხვედრა ერთმანეთთან.

წლეულს ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი პირველად გზაფხულზე შეხვდნენ ერომანეთს ბელგრადში, ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. მწვავე ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

და აი, ამ დღეებში მეტოქენი კვლავ მიუსხდნენ მაგიდას. ამჯერად ეს მოხდა რიგაში, სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონი იცავს „ბურევესტნიკის“, ხოლო ა. კუშნირი — „ტრუდის“ პრესტიჟს. პარტია საინტერესო იყო.

ნ. გაფრინდაშვილმა ჩვეული მონდომებით, შეუპოვრობით წარმართა თამაში და შესანიშნავი გამარჯვება იზეიმა. დიდოსტატი ე. გელერი შენიშნავს, რომ ამ პარტიაში თვალნათლივ ჩანს ნონას ჩემპიონისებური ხელწერა.

გაფრინდაშვილი — კუშნირი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ⚊b5 a6 4. ⚊a4 ∂f6 5. 0—0 ⚊e7 6. ♖e1 b5 7. ⚊b3 d6 8. h3 0—0 9. c3 ∂fd7.

ეს ძველი სისტემა საბჭოთა ოსტატებმა კვლავ გააცოცხლეს. შავების მიზანია d6-d5-ის წინსვლის მომზადება.

10. d4 ⚊f6 11. d5.

მსოფლიო ჩემპიონს თავიდანვე გარკვეულობა შეაქვს თამაშში.

11. ... ∂a5 12. ⚊c2 ∂b6 13. ∂bd2 c6 14. dc ∂:c6 15. ∂f1 a5.

კუშნირი ვერ ბედავს 15. ... d5-ის თამაშს იმის შიშით, რომ 16. ed ∂:d5-ის შემდეგ თეთრებს შესანიშნავი საიერიშო პოზიცია ექნებათ, თუმცა კონკრეტული მუქარები არ ჩანს.

ამ გაუბედაობას მოჰყვა ის, რომ მსოფლიო ჩემპიონმა პაიკი d6 ჯერ ადგილს მიაჯაჭვა, მერე კი მოიგო იგი. ნონას შემდგომი თამაში აღსავსეა ღრმა აზრით და ოსტატობით.

16. ∂e3 b4 17. ⚊b3 bc 18. bc ⚊e6 19. ⚊a3 ⚊e7 20. ♖b1 ♖b8 21. ⚊d5 ♕c7 22. ♕d3 ⚊:d5.

კუშნირი ჩქარობს გაცვლას. სჯობდა 22. ... ∂a7. როდია საშიში 23. ♕a6 ∂ac8 24. ♕:a5, რადგან 24. ... ∂:a5 მას შეუძლებლად ხდის. ახლა კი მსოფლიო ჩემპიონი ძლიერ იერიშს ღებულობს.

23. ed ∂a7 24. ∂f5.

რა თქმა უნდა, არც ახლა ვარგოდა 24. ♕a7 ∂ac8 25. ♕:a5 ♖a8 26. ♕b5 ∂:d5-ის გამო. თეთრები იმუქრებიან 25. ∂:e5.

24. ... f6.



25. ∂3d4!

ძლიერი მანევრი, რომელიც ფაქტიურად სწყვეტს პარტიის ბედს. მხედარი შავების პოზიციაში იჭრება. მის აყვანას უფრო ჩქარი დასასრული მოჰყვებოდა.

25. ... ♖f7 26. ∂e6 ♕d7 27. ♖b3 ∂ac8 28. ♖eb1 ⚊f8.

შორს გაანგარიშებული გაცვლებით ნონა იგებს d6 პაიკს. ახანგრძლივებდა წინააღმდეგობას 28. ... ⚊d8.

29. ∂:f8 ♖:f8 30. ∂:d6 ∂:d6 31. ♖:b6 ♖:b6 32. ♖:b6 ∂c8 33. ♖b8 ♖d8 34. c4 ♕c7 35. ♕b3 ∂d6.

თეთრი გამსვლელი პაიკების შეჩერება შეუძლებელია. მსოფლიო ჩემპიონი არავითარ იმედს არ აძლევს მეტოქეს.

36. ⚊:d6 ♕:d6 37. ♖:d8+ ♕:d8 38. c5 f5 39. d6+ ∂gf8 40. ♕e6.

შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე.

ორმოცი წლის შემდეგ

რიგა, 18 დეკემბერი. (საკადესი). ქვეყნის გუნდური საჭადრაკო ჩემპიონატის VI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ორი ძველი მეტოქის — დიდოსტატ კერესის („ალევი“) და საერთაშორისო ოსტატ მიკენასის („ალგორისი“) შეხვედრა. ორმოცი წლის წინ ყველასთვის უცნობი ესტონელი მოჭადრაკე, 13 წლის პ. კერესი შეხვდა იმ დროისთვის ცნობილ ოსტატს ვ. მიკენასს, რომელიც მეტოქეზე ხუთი წლით უფროსი იყო.

— დამიჯერეთ, — თქვა მაშინ მიკენასმა, — ესტონეთი იამაყებს ამ ბიჭით.

და აი, ორმოცი წლის შემდეგ, 17 დეკემბერს საჭადრაკო დაფასთან მასწავლებელი მოწაფეს შეხვდა. სკანდინავიურ პარტიაში დიდოსტატმა კერესმა (თეთრები) ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი. მიკენასმა დიდი დრო დაკარგა. შემდეგ კერესმა აქტიურად მიაგნო პარტიის ორიგინალურ გაგრძელებას: მან პაიკი და ფიგურა შესწირა. მიკენასმა მუქარა მოიგერია, მაგრამ დიდოსტატმა პარტიის ჩინებული დაბოლოება მოძებნა. 29-ე სვლაზე ლიტველი ოსტატი დანებდა.

VI ტურის დანარჩენი პარტიებიდან უნდა აღინიშნოს მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა ვ. ბორისენკოსთან. გაფრინდაშვილს ფიგურის მოგება შეეძლო, მაგრამ ვერ შენიშნა და... ყაიმზე დასთანხმდა.

რიგის ოფიცერთა საოლქო სახლში შეკრებილმა მაყურებლებმა მაგიდასთან ვერ დაინახეს თავიანთი კერპი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ტალი. რიგელი მოჭადრაკე ავად გახდა და მსაჯთა კოლეგიის ნებართვით ბოლო ორი ტურის პარტიებს შინ თამაშობდა. ტალის შეხვედრა პოლუგაევსკისთან, გუშინ კი გელერთან ყაიმით დამთავრდა.

6 ტურის შემდეგ კვლავ I ადგილზეა „ბურევესტნიკი“ — 39 ქულა (4 გადადებული პარტია), II — შეიარაღებულ ძალთა სპორტსმენები — 38 (2), III — „ავანგარდი“ — 32,5 (7).

შეხვედრა ჩემპიონთან

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ამას წინათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სსრ კავშირის ჩემპიონს ჭადრაკში, საერთაშორისო ოსტატს ნ. ალექსანდრიას.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს ნ. ალექსანდრია ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ინსტიტუტის 10 უძლიერეს მოჭადრაკეს. ბრძოლა, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა, ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. — 7:3 (4 მოგება, 6 ყაიმი).

მ. თევზაძე.

უმაღლესი წოდება გამარჯვების გარანტიას არ იძლევა

მოსკოვი, 17 დეკემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს აქ დაიწყო 6 ქვეყნის ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში 4 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი: ტურნირში ხომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ასპარეზობენ!

პირველად მოედანზე გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონები — უნგრელი ხელბურთელები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი. გერმანელებმა მაღალი ოსტატობა და გამარჯვებისკენ შეუნელებელი ლტოლვა გამოავლინეს და უმაღლესი წოდების მქონე გუნდი დაამარცხეს კიდეც — 13:9 (6:4).

გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით გამოჩინა თავი ძ. ვინკლერმა. იგი შესანიშნავად ხელმძღვანელობდა მეგობრების იერიშებს და თავად 2 ბურთი გაიტანა. მატჩის საუკეთესო ბომბარდირი კი ვინკლერის თანაგუნდელი კ. პოხმუტი იყო — მის ანგარიშზეა 4 ბურთი.

გდრ-ის ხელბურთელებს მოედანზე შესანიშნავად ესმით ერთმანეთისა: ეს არცაა გასაკვირი: აი, უკვე რამდენმე წელია ამ ქვეყნის ნაკრები, უცვლელი შემადგენლობით ასპარეზობს. მის ბირთვს ცნობილი კლუბის „ლაიპციგის“ სპორტსმენები წარმოადგენენ, ამავე კლუბში თამაშობს ნაკრების დისპეტჩერი ვინკლერი.

უნგრეთის გუნდმა შარშან თვალსაჩინოდ გააახალგაზრდავა შემადგენლობა. უნგრელ ქალიშვილებს ჯერ არც ერთ ტურნირში აღარ გაუმეორებიათ ის წარმატება, რასაც მათ მსოფლიოს ჩემპიონატში მიაღწიეს. საქმეს მაინცდამაინც არც ბრწყინვალედ მოთამაშე დ. ელეკი შველის, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში საუკეთესო მეკარედ იქნა აღიარებული.

მოედანზე გამოვიდნენ პოლონეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. საინტერესო ბრძოლა პოლონელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 15:10 (4:4). უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელებმა ბოლო ბურთი შეტოქის კარში 7-მეტრიანი საჯარიმოთი მას შემდეგ გაიტანეს, შეხვედრის დრო რომ ამოწურა.

დაბოლოს, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და რუმინეთის ხელბურთელები. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — რუმინელებმა თავიდან ძალგრად შეუტიეს მასპინძლებს და დაწინაურდნენ კიდეც — 2:0. მაგრამ შემდგომ ინიციატივა საბჭოთა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ და გაიმარჯვეს — 16:11 (9:3). რუმინელთა კარში 7 ბურთი გაიტანა ვ. ივანოვმა.

ჯ. ენუქიძე.

თასისთვის ბრძოლა დაიწყო

გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ეანკლოდ კილიმ სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის მომდევნო ეტაპებშიც კარგად იასპარეზა და ამ ტურნირის დამთავრებამდე გაინადგა გამარჯვება. ქალებში, როგორც ცნობილია, მსოფლიოს თასი კანადელმა ნ. გრინმა მოიგო.

მსოფლიოს თასების მფლობელები და მათი მაძიებლები ზაფხულში უქმად როდი იყვნენ. საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშის გარდა, დროდადრო თოვლიან ზონებს ესტუმრებოდნენ ხოლმე.

საფრანგეთის, ავსტრიის, იტალიის, კანადის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო მოთხილამურეებმა საწვრთნელი შეკრებები კარგა ხანია დაიწყეს. ამ შეკრებათა მიზანი იყო მსოფლიოს თასის მორიგი გათამაშებისთვის სამზადისი.

როგორც გამოირკვა, ამ საინტერესო მარათონული შეჯიბრებისთვის ყველაზე უკეთესად მაინც ფრანგი და ავსტრიელი სპორტსმენები მომზადებულან — საფრანგეთის სამთო კურორტ ვალ დ'იზერში თასისათვის გამართულ პირველსავე შეჯიბრებაში სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა იმარჯვეს.

გიგანტური სლალომის პირველ ტრასაზე ყველას აჯობა კ. შრანცმა (ავსტრია), რომელიც მეთხუთმეტე წელია საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს. კარგი შედეგები ჰქონდათ ჰ. რისელს, ჰ. დიუვიარსა და ბ. ორსელსაც (სამივე — საფრანგეთი), მაგრამ მეორე ცდაზე ყველა ფრთხილობდა და შედეგებიც გაუარესდა. საბოლოოდ, 2 ცდის ჯამში გამარჯვება შრანცს დარჩა. მას 0,1 წამით ჩამორჩა ორსელი და 0,27 წამით — დიუიარი, რომელიც რისელს 0,03 წამს უგებს.

თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული კილი ტურნირში არ მონაწილეობდა.

როგორც ცნობილია, მოსკოვში ამას წინათ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში.

სურათზე: ქალთა შორის (ერთეულად) თასი აიღო გამარჯვებულნი (მარცხნიდან მარჯვნივ) — გ. გრეიბოვსკაია — II ადგილი, ე. შჩეგლოვა (ორივე — სსრ კავშირი) — I ადგილი, ხ. მორგენშტერნი (გდრ) — III ადგილი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკადესი).

„დინამოვიადის“ ფინიში



ბუქარესტის სტადიონზე ერთ კვირას ფრიალებდა შვიდი სოციალისტური ქვეყნის — სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დროშები. აქ ტარდებოდა დინამოელ ქალთა და ვაჟთა გუნდების მორიგი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში.

ამ რიგით მეცხრე შეხვედრამ ორმაგი გამარჯვება მოუტანა რუმინელ სპორტსმენებს, რომლებმაც ტურნირი წაუგებლად დაამთავრეს. მოსკოვის „დინამოს“ ორივე გუნდმა II ადგილი დაიკავა. III ადგილი ვაჟთა გუნდებში ჩეხოსლოვაკიელ ფრენბურთელებს ხვდათ, ქალებში — პოლონელებს.

რა შეადგენს „დინამოვიადა-68“-ის დამახასიათებელ თავისებურებას? ეს შეკითხვა მისცა აას-ის კორესპონდენტმა საბჭოთა სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ბალტაჯის.

— პირველ ყოვლისა, მინდა აღვნიშნო მონაწილეთა განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა. ბევრი მოთამაშე თავიანთი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში შედის. მაგალითად, ბუქარესტის „დინამოდან“ რუმინეთის ნაკრებში წლების მანძილზე გამოდიან გ. კორბიანი, მ. ტურლიჩი, ე. შრაიბერგი, ი. სმერეჩინსკი.

მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ წლეულს ძალიან შეიცვალა მონაწილეთა შემადგენლობა. უნგრეთის ვაჟთა გუნდში მოთამაშეთა ორი მესამედი შეცვლილია, ბერლინის „დინამოს“ ქალთა გუნდი კი თითქმის მთლიანად ახალი მოთამაშეებისგან შედგება. გდრ-ის ფრენბურთელ ქალთა საშუალო ასაკი სულ 20 წელია. ქმაყოფილი ვართ მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრითაც.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს მთავარი შინაარსი ბუქარესტის ტურნირისა, რომლის ყოველი პარტიაც დაძაბულობით გამოირჩეოდა. გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ბერლინის „დინამოს“ ქალთა გუნდის კარგი თამაში. მე თვალს ვადევნებდი ბერლინელ სპორტსმენებს და დავწყმუნდი მათს დიდ პოტენციურ შესაძლებლობაში. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, იაპონური გასაღებით თამაშობენ. მათმა მწვრთნელმა მკაცრ სათამაშო დისციპლინას მიაღწია. გერმანელი ფრენბურთელები კარგად მოქმედებენ დაცვაში, ამას გარდა, საკმაოდ მრავალფეროვანი და მძლავრი თავდასხმა შეუძლიათ. ამ ახალგაზრდა კოლექტივს დიდი მომავალი აქვს: რამდენიმე წლის შემდეგ იგი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ყოველ კოლექტივს. რა შეუძლიათ ბაბთიან გოგონებს (რუმინეთის პრესამ ასე მონათლა მწვრთნელ აინორდის აღსაზრდელები), ეს გდრ-ის ფრენბურთელებმა მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრაში გვიჩვენეს. საბჭოთა ფრენბურთელები ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ ბადესთან ბრძოლა უმეტესად ბერლინელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. ისინი ვაჟებივით მძლავრად უტევდნენ, ავლენდნენ მაღალ ტექნიკურ ოსტატობას და გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა გუნდებმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგალითად, მოსკოვის დინამოელმა ვაჟებმა მოქნილი კომბინაციური თამაში გაუშალეს რუმინელებთან შეხვედრაში. „საბჭოთა ფრენბურთელებმა, — მითხრა რუმინელმა მწვრთნელმა მიხაილესკუმ, — ბუქარესტში კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით, ჩვენთან. „დინამოს“ გუნდის ვეტერანმა ვაჟა კაჭარავამ და მისმა ახალგაზრდა თანაშემწეებმა იერიშის ორგანიზაციაში — ვიქტორ ბორშჩმა, პეტრე რომანოვმა, ვლადიმერ ეგოროვმა ჩინებულად წარმართეს დამაკავშირებელი მოთამაშეების პარტია და თანამედროვე ფრენბურთის ყველა აუცილებელი ნიშანი გვიჩვენეს“.

თუ ჩვენმა ბიჭებმა ეს თამაში ანგარიშით 2:3 წააგეს, ეს ცუდი მსჯობის შედეგი გახლავთ. სწორედ ასე წერდა რუმინული გაზეთი „სპორტიც“.

საბჭოთა ქალთა გუნდმა ტურნირი თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად ჩაატარა. იგრძნობა, რომ მწვრთნელმა ა. სარქისოვმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მოთამაშეთა კარგი ანსამბლის შექმნა. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელებს კი მეტი მოეთხოვებათ. გუნდის ვეტერანებმა ლ. ბულდაკოვამ, მ. კატუშევამ, ლ. ტიურინამ ვერ ითამაშეს დამაჯერებლად, მძლავრად.

სპორტში, როგორც ყველა სხვა საქმეში, საკუთარი ძალებისა და მეტოქის შესაძლებლობათა უსწორო შეფასებას მუდამ არასასურველი შედეგი მოსდევს. ეს ჭეშმარიტება ჩვენმა ქალებმა თავის თავზე გამოსცადეს, როცა ახალგაზრდა გერმანელ მეტოქეებთან იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულნი გამოვიდნენ მოედანზე. ისინი მწარედ მოტყუვდნენ: ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი წააგეს.

მაშ ასე, ბუქარესტის „დინამოვიადა-68“ დამთავრდა. ეჭვი არ არის, ყველა გუნდის მწვრთნელები ამ ტურნირის შედეგებიდან შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ. ასპარეზობის მთავარი შედეგი კი ესაა: იგი ხელს შეუწყობს მომმე სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მეგობრობის განმტკიცებას.

ტურნირის ორგანიზაციისა და ჩატარებისთვის დიდი შრომა გასწიეს სტუმართმოყვარე მასპინძლებმა — რუმინელმა სპორტსმენებმა. ჩვენმა რუმინელმა მეგობრებმა ყველაფერი იღონეს, რათა შეჯიბრება წარმატებით ჩატარებულიყო.

ფ. ანგელი,
აას-ის საკუთარი კორესპონდენტი ბუქარესტში.

გამარჯვებულის ახალი გეგმა

როგორც ვიუწყებოდით, 17 დეკემბერს დამთავრდა „საუკუნის რალი“ — 28-დღიანი ავტორალი, რომლის მარშრუტიც ასეთი იყო: ლონდონი — სიდნეი.

... იმ საღამოს შოტლანდიაში, კოუენების ფერმაში არავის ძინებია. მთელი ოჯახი რადიომიმღებს უჯდა და ამ რალის ფინიშის შედეგებს ელოდა, რადგან შეჯიბრებაში ერთ-ერთი კოუენიც მონაწილეობდა. და აი, დიქტორმა გამოაცხადა: „რალი მოიგო ენდრიუ კოუენმა“... ენდრიუს მამამ ფერმაში ჩასულ ჟურნალისტებს საიდუმლო გაანდო: „ახლა ჩემი ვაჟი ახალ მოგზაურობას შეუდგება — დედამიწის ირგვლივ, ახალი ზელანდიის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გავლით. ნათქვამი აქვს, თუ გავიმარჯვებ, ამ მოგზაურობას მოვაწყობო“.

დიახ, რალი მოიგო ენდრიუ კოუენმა, რომელიც თითქმის მთელი 16980 კილომეტრის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში არ ყოფილა. მაგრამ მას მეტოქეთა უიღბლობამ შეუწყო ხელი. ცნობილ ინგლისელს რ. კლარკს, რომელიც ბომბეიმდე და ავსტრალიური ტრასის ნახევარზე ლიდერობდა, ზედიზედ ორი მარცხი შეემთხვა: გაუფუჭდა მანქანის მართვის სისტემა, მერე კი გადამცემი. შეკეთებას დიდი დრო დასჭირდა, ყოველი ზედმეტი წუთი კი საჭირიმო ქულას ნიშნავდა. ფინიშზე ფავორიტი მეათე აღმოჩნდა.

ბედმა უმტყუნა მეორე ლიდერსაც—„ლე მანის“ ცნობილი რბოლის წლევანდელ გმირს, ბელგიელ ლ. ბიანჩის, რომელიც ფრანგული „სიტროენით“ ინგლისელთა სახელით გამოდიოდა. სიდნეიმდე 160 კილომეტრი რომ დარჩა, მას საჭესთან ჩაეძინა. გასაგებია, რომ მარცხი გარდუვალი იყო. მძღოლი სერიოზულად დაშავდა — თავისა და მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. იგი ჰოსპიტალში მოათავსეს.

კოუენის ეკიპაჟი კი სიდნეიმდე მშვიდობიანად ჩავიდა...

სპეციალისტების პროგნოზები გამართლდა. ავსტრალიის ტრასა (6000 კმ) ყველაზე რთული აღმოჩნდა: უდაბნოები, მთები, ჭაობები, ნისლი, ქვის ზვავები და... კენგურუ. მას ბევრი მანქანა გადააწყდა, მათ შორის, ტენიშევის ეკიპაჟიც.

მოგაგონებთ, რომ ინგლისიდან წამოსული 98 მანქანიდან პარიზის, ტურინის, ბელგრადის, სტამბოლის, თეირანის, ქაბულის, დელის გავლით ბომბეიში მშვიდობით ჩავიდა მხოლოდ 72. სწორედ მათ დაიწყეს ბოლო ეტაპი. მეხუთე კონტინენტზე რბოლას კიდევ ბევრი ეკიპაჟი გამოაკლდა.

რალის საბოლოო შედეგები გამოცხადდება უფრო გვიან, როცა ყველა საკონტროლო პუნქტიდან მოვა ცნობები.



◆ **პარიზი, 18 დეკემბერი.** წლევანდელი სეზონის მიხედვით საფრანგეთის საუკეთესო ჩოგბურთელთა სიის სათავეში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, პირველად მოექცნენ ერთი ოჯახის წარმომადგენლები. ვაჟებში პირველ ნომრად დასახელებულია საბჭოთა სპორტის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი პიერ დარმონი (ამ პატივს იგი ფ. შაფრესთან იყოფს). მას შემდეგ, რაც ფ. დიური პროფესიონალთა რიგებში გადავიდა, საფრანგეთის ჩემპიონად და პირველ ჩოგნად იქცა პიერის მეუღლე როზა დარმონი, რომელიც წარმოშობით მექსიკელია. გათხოვებამდე რ. რეიესი (ეს მისი ქალიშვილობის გვარია) ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა.

◆ *ლონდონი, 18 დეკემბერი.* ადგილობრივი გაზეთის „სანდი ტაიმსის“ მოწყობილ ერთეულ აფრესანთა შეურჩერებელ ცურვაში დედამიწის გარშემო კვლავ ლიდერობს ინგლისელი რობინ ნოქსი. მას ახლა 4.000 კმ აშორებს ახალ ზელანდიას. თავისებურ რეკორდს მიაღწია ამ შეჯიბრების მეორე მონაწილემ — ინგლისელმა დონალდ კროუჰარსტმა: ერთ დღეში მან 400 კმ. დაფარა. აფროსნებმა სტარტი ბრიტანეთის კუნძულებზე აიღეს, მათი მიზანია რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ ინგლისის ნაპირებს.

◆ **რიო-დე-ჟანეირო, 18 დეკემბერი.** აქ წლევანდელი სეზონის ბოლო მატჩი გამართა ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იუგოსლავიელებს შეხვდა. მატჩს, რომელსაც 60 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მოულოდნელი ფინალი ჰქონდა: თამაშის დამთავრებამდე წუთიც არ იყო დარჩენილი, როცა იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა ბუკალმა (შეცვალა მუსემიჩი) თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა — 3:3 (1:1). ამ მატჩში პელეც მონაწილეობდა, მაგრამ იუგოსლავიელმა მცველებმა მას გოლის გატანის საშუალება არ მისცეს. ბრაზილიელთაგან ბურთების ავტორები არიან: კარლოს ალბერტო (39-ე წ., 11-მეტრიანი საჯარიმოთი), რიველინო (მე-60 წ.) და ბაბა (71-ე წ.). იუგოსლავიელთაგან თავი გამოიჩინეს სპასოვსკიმ (მე-17 წ.) და ჯაჩმა (48-ე წ.).

◆ **პრაღა, 18 დეკემბერი.** ბოლო დროს ჩეხიასა და მორავიაში 69 ახალი საცხენოსნო სპორტული კლუბი დაარსდა. აქ მომეცადინე 1500 ჯაბუკისა და ქალიშვილის გაწკარგულებაშია 300 ცხენი.



სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელი თ. რამაზაშვილი თამაშის დროს.

ფოტო ა. ბაკოვისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.